

## მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ტესტები

### სპეციალობა -სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

#### თავი I ნიადაგდამამუშავებელი მანქანები

##### 1. ჩამოთვალეთ ნიადაგის მექანიკური დამუშავების სახეები?

1. ძირითადი დამუშავება, ზედაპირული დამუშავება.
2. ღრმად დამუშავება, ზუსტი დამუშავება.
3. მძიმედ დამუშავება, ზედაპირული დამუშავება.

##### 2. ჩამოთვალეთ ხვნის სახეები?

1. კულტურული, ბელტის გადაბრუნებით, ნაზურგი, ნაღარი.
2. რომბული, პრიზმული, კვალზურგა, ზედაპირული.
3. ნაღარი, ნაწილობრივი, მიწვენითი, გადაბრუნებითი.

##### 3. რომელი მანქანები გამოიყენება ნიადაგის დამუშავებისათვის?

1. გუთნები და სათესები.
2. კულტივატორები, სახნისები და ფრეზები.
3. გუთნები, კულტივატორები, ფრეზები, გამაფხვიერებლები და ფარცხები.

##### 4. რომელია კულტივატორის ძირითადი სამუშაო ორგანიები?

1. ისრისებური, უნივერსალური და გამაფხვიერებელი თათები.
2. სახნისისებრი და გამაფხვიერებელი თათები.
3. ბრტყელი, რკალოვანი და ღრმა თათები.

##### 5. ჩამოთვლილთაგან რომელია ასიმეტრული ნიადაგდამამუშავებელი მანქანა?

1. კულტივატორი.
2. ღრმადგამაფხვიერებელი.
3. გუთანა.

**6. ჩამოთვლილიდან რომელი პუნქტის მიხედვით კლასიფიცირდება გუთნები?**

1. მოდების განის მიხედვით.
2. ტრაქტორთან აგრეგატორების მიხედვით.
3. შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

**7. გუთნის ძირითადი სამუშაო ორგანოებია:**

1. სახნისი, საკვეთელი, ტანი, საყრდენი თვალი, საკიდი მექანიზმი.
2. სახნისი, ფრთა, ველის ფიცარი,წინმხვნელი, საკვეთელი.
3. ჩარჩო, კორპუსი, სახნისი, ღრმად გამაფხვიერებელი,მისაბმელი.

**8. ჩამოთვალეთ სახნისის სახეები?**

- 1.რომბისებრი,სამკუთხა,ოთხკუთხა,ტრაპეციული.
- 2.ტრაპეციული,სატეხისმაგვარი,დაკბილული,გამოსაწევი სატეხით.
- 3.სატეხისმაგვარი, ტესმაგვარი,გესმაგვარი, ოვალური.

**9. ნიადაგის ხვნის დროს მოჭრილი ბელტი თავსდება:**

- 1.დაუმუშავებელ ზოლზე.
- 2.კვლის ზედაპირზე.
3. კვლის ფსკერზე.

**10. ჩამოთვალეთ გუთნის ფრთის სახეობები სამუშაო ზედაპირის მიხედვით?**

- 1.ცილინდრული,კულტურული,ნახევრადხრახნული,ხრახნული.
- 2.წრიული,ნახევრადწრიული,ელიფსური,პარაბოლური.
- 3.ხრახნული,სპირალური,ნახევრად სპირალური.

**11. ჩამოთვალეთ ნიადაგის დამუშავების სამანქანო ტექნოლოგიები:**

- 1.ტრადიციული ტექნოლოგია (ბელტების გადაბრუნება).
- 2.ტრადიციული ტექნოლოგია , ნულოვანი ტექნოლოგია, მინიმალური დამუშავების ტექნოლოგია.

3. ზედაპირული დამუშავების ტექნოლოგია, ღრმად დამუშავების ტექნოლოგია.

## **12. რა დანიშნულება აქვს კულტივატორს?**

1. ნიადაგის დამუშავება-გაფხვიერება 10-15 სმ სიღრმეზე.
2. ნიადაგის დამუშავება-გაფხვიერება 20-25 სმ სიღრმეზე.
3. ნიადაგის დამუშავება-გაფხვიერება 25-30 სმ სიღრმეზე.

## **13. ნიადაგდამამუშავებელი ფრეზები არსებობს:**

1. ვერტიკალურღერძიანი, განივძელიანი.
2. ვერტიკალურღერძიანი, ჰორიზონტალურღერძიანი.
3. ვერტიკალურძელიანი, დახრილი ღერძით.

## **14. ნიადაგდამამუშავებელი ფრეზის ძირითადი სამუშაო ორგანოებია:**

1. კარდანული გადაცემა, რედუქტორი, ფრეზის დანები.
2. ჰიდროცილინდრი, საკიდი სისტემა, დანები.
3. ფრეზის დანები, ვარსკვლავები, გარსაცმი.

## **15. დისკოებიანი ფარცხის დანიშნულებაა:**

1. ნიადაგის ზედაპირული დამუშავება, სარეველა მცენარეების მოჭრა.
2. კულტურულ მცენარეთა გამოხშირვა, ნიადაგის ზედაპირული დამუშავება,
3. სარეველა მცენარეების მოჭრა, კულტურულ მცენარეთა გამოხშირვა.

## **16. დისკოებიანი ფარცხით ნიადაგის დამუშავების სიღრმე რეგულირდება:**

1. შეჭრის კუთხის ცვალებადობით.
2. შეტევის კუთხის ცვალებადობით.
3. განივი კუთხის ცვალებადობით;

## **17. როგორ მანქანებს განეკუთვნება ნიადაგდამამუშავებელი ფრეზები:**

1. აქტიურ მუშაორგანოიანი.
2. პასიურ მუშაორგანოიანი.
3. კომბინირებულ მუშაორგანოიანი.

**18. გუთანი ტრაქტორთან აგრეგატირდება:**

1. ერთ წერტილში.
2. ორ წერტილში.
3. სამ წერტილში.

**19. საკიდი გუთნით ნიადაგის ხვნის დროს ხვნის სიღრმის რეგულირება სწარმოებს:**

1. მაკოპირებელი თვლის საშუალებით.
2. მზიბგავი თვლის საშუალებით.
3. საყრდენ სარეგულაციო თვლის საშუალებით.

**20. ტრექტორის უნივერსალური საკიდი სისტემა არსებობს:**

1. ერთწერტილოვანი, ორწერტილოვანი და სამწერტილოვანი.
2. ერთწერტილოვანი და სამწერტილოვანი.
3. ორწერტილოვანი და სამწერტილოვანი.

**თავი II სათესი და სარგავი მანქანები**

**21. როგორი ტიპის კვალგამხსნელები გამოიყენება სათეს მანქანებში?**

1. ანკერული, ოთხდისკიანი, კვადრატული.
2. ანკერული, მაჩოჩისებრი, ორდისკიანი.
3. ორდისკიანი, ოთხდისკიანი, გამხსნელი.

**22. ჩამოთვალეთ ჩითილსარგავი მანქანის ძირითადი სამუშაო ორგანოები?**

1. კვალგამხსნელი, ჩითილამღები, ჩითილგამანაწილებელი.
2. კვალგამხსნელი, ჩითილდამჭერი, მიმტკეპნი თვლები.
3. კვალგამხსნელი, გამანაწილებელი, მიმტკეპნი თვლები.

**23. ჩამოთვალეთ სათესი მანქანების სახეები:**

1. მექანიკური სათესი, ვერტიკალური სათესი.
2. მექანიკური სათესი, პნევმატური სათესები.
3. მწკრივად სათესები, ზოლებრივად სათესები, გრძივად სათესები.

**24. როგორი ტიპის გამომთესი აპარატები გამოიყენება სათეს მანქანებში?**

1. კოჭისებრი (მექანიკური) და პნევმატური ტიპის
2. ბრტყელი ტიპის, მრგვალი ტიპის, წრიული ტიპის
3. ვერტიკალური ტიპის, ჰორიზონტალური ტიპის

**25. ჩამოთვალეთ თესვის სახეები:**

1. მწკრივად თესვა, ზოლებრივად თესვა, ღრმა თესვა
2. მწკრივად თესვა, ვიწრომწკრივად თესვა, ზოლებრივად თესვა.
3. შერეული თესვა, ზუსტი თესვა, ფრაქციული თესვა, გაყოფილი თესვა.

**26. კარტოფილსარგავი მანქანის ძირითადი კვანძებია:**

1. ბუნკერი, გამანაწილებელი, კვალგამხსნელი.
2. ბუნკერი, კარტოფილდამჭერი, კვალგამხსნელი, მიწის მიმყრელი თვლები.
3. ბუნკერი, დამდარავი, კარტოფილდამჭერი, გამანაწილებელი.

**27. სათოხნი კულტურების სათესი მანქანების მარკერის დანიშნულებაა:**

1. მწკრივში მცენარეთა შორის მანძილის დაცვა:
2. საპირისპირო მწკრივთა შორის მანძილის დაცვა:
2. მარცვლის ჩათესვის სიღრმის რეგულირება:

**28. მწკრივად თესვის დროს მწკრივთა შორის მანძილი შეადგენს:**

1. 15-16 სმ.
2. 20-25 სმ.
3. 30-32 სმ.

**29. პნევმატურ გამომთეს აპარატებში ვაკუმს ქმნის:**

1. ჰიდროცილინდრი;
2. ვაკუმმილი;
3. ვენტლატორი;

**30. რიგში ჩითილებს შორის მანძილი რეგულირდება;**

1. კვალგამხსნელის საშუალებით;
2. სარგავი აპარატის საშუალებით;

3. მაკოპირებელი თვლის საშუალებით.

**31. სათოხნი კულტურების სათეს მანქანებში თესვის სიღრმე რეგულირდება:**

1. მაკოპირებელი თვლის საშუალებით.

2. საყრდენი თვლის საშუალებით;

გვერდითი თვლების საშუალებით;

**32. პნევმატური ტიპის სათესებში თესვის ნორმა რეგულირდება:**

1. გამომთესი დისკოების ხვრეტილების რაოდენობის ცვალებადობით.

2. ვაკუმის სიდიდის გაზრდით ან შემცირებით.

3. თესლგამტარი მილის დიამეტრის ცვალებადობით.

**33. მექანიკური ტიპის სათესებში თესვის ნორმა რეგულირდება:**

1. მარცვლის გამომთესი კოჭას საშუალებით.

2. კვალგამხსნელის დისკოს საშუალებით.

3. წამყვანი ვარსკვლავას საშუალებით.

**34. ჩითილსარგავ მანქანებში კვალის დახურვა ხდება:**

1. ჯაჭვების საშუალებით.

2. დეზებიანი საგორავებით.

3. მიმტკეპნი თვლებით.

**35. კარტოფილსარგავ მანქანებში ბუნკერიდან ტუბერის გამოტანა სწარმოებს:**

1. ამოჩამჩვის პრინციპით.

2. გადაგორების პრინციპით.

3. განთესვის პრინციპით.

**36. ნათესის ოპტიმალური სიხშირე დაცული უნდა იყოს:**

1. ვერტიკალურ სიბრტყეში.

2. თარაზულ სიბრტყეში.

3. თარაზულ და ვერტიკალურ სიბრტყეში.

**37. კომბინირებული სათესი მანქანებით თესვასთან ერთად სწარმოებს:**

1. ნიადაგის ზედაპირული დამუშავება და მინერალური სასუქის შეტანა.
2. მინერალური სასუქის შეტანა.
3. ნაკვეთის მოშანდაკება.

**38. თავთავიანი კულტურები ითესება:**

1. მწკრივად, ვიწრომწკრივად.
2. ფართომწკრივად.
3. ვიწრომწკრივად, ფართომწკრივად.

**39. სათოხნი კულტურები ითესება:**

1. გრძივად.
2. ვიწრომწკრივად.
3. ფართომწკრივად.

**40. სასოფლო-სამეურნეო მანქანის გასწორება სწარმოებს:**

1. ორი გვერდითი და ერთი ცენტრალური წევის საშუალებით;
2. ორი გვერდითი და ორი ცენტრალური წევის საშუალებით;
3. ერთი გვერდითი და ორი ცენტრალური წევის საშუალებით;

**თავი III შხამქიმიკატების შემტანი მანქანები**

**41. ჩამოთვალეთ ვენახის შემასხურებელი მანქანის ტიპები:**

1. თვითმავალი ტიპის.
2. ნახევრად თვითმავალი.
3. საკიდი და მისაბმელი.

**42. შემასხურებელი მანქანის ძირითადი კვანძებია:**

1. ავზი, ტუმბო, ამრევი, გამშხეფი მოწყობილობა.
2. ავზი, ტუმბო, შხამქიმიკატის გამფანტველი.
3. ავზი, ტუმბო, გამხსნელი, შხამქიმიკატის გამფანტველი.

**43. შხამქიმიკატის გასხურება სწარმოებს:**

1. გამშხეფი ტუმბოს საშუალებით.

2. გამშხეფი ბუნიკების საშუალებით.
3. გამშხეფი სარქველის საშუალებით.

**44.შემასურებელი მანქანის სარედუქციო დამცავი სარქველის დანიშნულებაა:**

1. ზედმეტი შხამქიმიკატი დააბრუნოს უკან ავზში.
- 2.შხამქიმიკატი მიაწოდოს ტუმბოს.
3. შხამქიმიკატი მიაწოდოს გამშხეფ ბუნიკებს.

**45. შხამქიმიკატის გაფრქვევა სწარმოებს:**

1. მიმმართველი მილიდან.
2. მიმმართველი დარიდან.
3. მიმმართველი შნეკიდან.

**46. მინდვრის კულტურების შესხურება სწარმოებს:**

- 1.ჰორიზონტალურძელიანი გამშხეფი მოწყობილობით.
2. ვერტიკალურძელიანი გამშხეფი მოწყობილობით.
2. დახრილი ბუნიკებით.

**47. შხამქიმიკატის დაჭირხვნა გარკვეული წნევით სწარმოებს:**

1. ჰიდროსისტემის საშუალებით.
- 2.ტუმბოს საშუალებით.
3. გამანაწილებლის საშუალებით.

**48. შემასხურებლის ვენტილატორის დანიშნულებაა:**

1. გასხურება მოახდინოს შორ მანძლზე, წვრილ ნაწილაკებად.
2. გააგრილოს მცენარე.
3. დაჭირხნოს შხამქიმიკატი.

**49. ავზიდან შხამქიმიკატი ფილტრის გავლით მიეწოდება:**

1. მაღალი წნევის ტუმბოს.



2. დაბალი წნევის ტუბოს.

2. ჰიდროსისტემას.

**50. შემასხურებელი მანქანები არსებობს:**

1. ერთ ამძრავიანი.

2. ორ ამძრავიანი.

3. შტანგებიანი და ვენტილატორული.

**თავი IV მოსავლის ამღები მანქანები**

**51. როგორია სათიბელების კლასიფიკაცია ტრაქტორთან დაკიდების მიხედვით?**

1. ერთწერტილიანი, ორწერტილიანი, სამწერტილიანი,

2. მთლიანი დაკიდება, ნახევრად დაკიდება, ორწერტილიანი დაკიდება.

3. საკიდი, ნახევრად საკიდი და თვითმავალი.

**52. როგორი ტიპის მჭრელი აპარატებია გამოყენებული სათიბელებში?**

1. სემენტური, როტაციული.

2. თითებიანი, უთითებო და დისკური.

3. ხრახნილი, წრიული, ნახევრადწრიული.

**53. ჩამოთვალეთ ფოცხების ტიპები:**

1. ღერძული, პარალელული, მართობული

2. განივი, გვერდული, როტაციული

3. თვითმავალი, ნახევრად საკიდი, საკიდი

**54. წნესამკრეფი მანქანები არსებობს:**

1. რუნოლური, კვადრატული.

2. ხრახნული, ცინიდრული.

3. ნახევრადხრახნული, წრიული.

**55. წნესამკრეფის ძირითადი სამუშაო ორგანოებია:**

1. მისაბმელი, ამკრეფი, ჩამტკეპნი, დამწნეხი.

2. ამკრეფი, საწნეხი დგუში, საწნეხი კამერა, შემკველი მექანიზმი.
3. საყრდენი თვლები, ჩარჩო, საწნეხი კამერა.

**56. სილოსის ასაღები კომბაინის ძირითადი სამუშაო ორგანოებია:**

1. ამკრეფი, მიმწოდებელი, ჩამტვირთავი, დამქუცმაცებელი,
2. მჭრელი აპარატი, ტარაბუა, მიმწოდებელი ტრანსპორტიორი და დოლურები, დამქუცმაცებელი დოლი, მიმართველ-გადამყრელი.
3. მიმართველი, ურიკა, დანებიანი დალი, რედუქტორი.

**57. ჩამოთვალეთ მარცვლეულის აღების მეთოდები**

1. პირდაპირი, ირიბი, განივი.
2. პირდაპირი და გაყოფითი.
3. გვერდული, შემოვლითი, წრიული.

**58. მარცვლეულის ამღები კომბაინის ძირითადი სისტემებია:**

1. სამკალი, სალენი და საწმენდი.
2. მიმწოდებელი, შემგროვებელი და გამფანტველი.
3. სამკალი, ამკრეფი, სალენი, გამწმენდი და სავალი ნაწილი.

**59. მარცვლეულის ამღები კომბაინის დამხმარე სისტემებია:**

1. მჭრელი აპარატი, ტარაბუა, სალენი დოლი.
2. ცხავეები, საბერტყები, დეკა.
- 3 კაბინა, მართვის სისტემა, ბუნკერი, ჩალის დამქუცმაცებელი.

**60. სიმინდის ამღები კომბაინის ძირითადი კვანძებია:**

1. მომწოდებელი ჯაჭვები, მჭრელი აპარატი, ტაროს მომრწყვეტი აპარატი, ტაროს გამრჩევი აპარატი.
2. ტარაბუა, საქუცმაცებელი დოლი, გადამტანი ტრანსპორტიორი.
- 3 ბუნკერი, შემგროვებელი, განივი ტრანსპორტიორი, ვინტილიატორი.

**61. ჩამოთვალეთ კარტოფილის აღების მეთოდები:**

1. კომბინირებული, წრიული, ნახევრად წრიული.
2. პირდაპირი კომბინირება, გაყოფითი აღება.

2. ერთრიგიანი, ორრიგიანი, სამრიგიანი ალება.

**62. მარცვლის ამლები კომბაინის სამკალის დანიშნულებაა:**

1. ღეროების მოჭრა და გალენვა.
2. ღეროების მოჭრა და განიავება.
3. ღეროების მოჭრა და სალენ აპარატში მიწოდება.

**63. სათიბელებში გამოიყენება ჭრის შემდეგი პრინციპები:**

1. საყრდენიანი და უსაყრდენო.
2. საყრდენიანი და დამჭერი.
3. უსაყრდენო და გავრცობილი.

**64. მარცვლის ამლებ კომბაინებში გამოიყენება ჩალისაბერტყი:**

1. კლავიშებიანი:
2. დოლური:
3. თამასებიანი.

**65. მარცვლეულის ამლებ კომბაინში ჩალის დაქუცმაცება სწარმოებს:**

1. დოლოს საშუალებით;
2. დანებიანი დისკის საშუალებით;
3. სამსხვრეველას საშუალებით;

**66. მარცვლის ამლები კომბაინის ასალენი აპარატი შედგება:**

1. დოლისა და დეკასაგან.
2. ჩალის საბერტყისა და როტორისაგან.
3. დახრილი ტრანსპორტიორისა და დანებისაგან.

**67. მარცვლის ამლები კომბაინის მიმლები ბიტერის დანიშნულებაა:**

1. სალენ აპარატს მიწოდოს გასალენი მასა თანაბრად.
2. გასალენ მასას მოაცილოს სხვადასხვა მინარევები.
3. გასალენ მასას მოაცილოს ღეროები.

**68. სილოსის ამლები მანქანის საქუცმაცებელი როტორი ასრულებს:**

1. გადატანით მოძრაობას.

2. რთულ მოძრაობას.
3. ბრუნვით მოძრაობას.

**69. ჩაის საკრეფ ხელის აპარატებში გამოიყენება:**

1. სეგმენტური ტიპის მჭრელი აპარატები.
2. განივი ტიპის მჭრელი აპარატები.
3. გრძივი ტიპის მჭრელი აპარატები.

**70. კარტოფილის სათხრელ მანქანებში ტუბერების თხრა ხორციელდება:**

1. ჯაჭვების საშუალებით.
2. ბრტყელი სანისების საშუალებით.
3. გრძივი დანების საშუალებით.

**ლიტერატურა**

1. ე. შაფაქიძე, დ. ნატროშვილი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, თბილისი, 2010 წ. 234 გვ. **631.3(02)11.**
2. ნ. გაბუნია, ნ. ფხაკაძე, ა. გაბუნია ტრაქტორები, მანქანები და იარაღები საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის, (კონსტრუქცია, თეორია, ანგარიში), თბილისი, 2012 წ. 401 გვ. **631.3**
3. გეგელიძე გ. შაფაქიძე ე. სასოფლო სამეურნეო მანქანები (1 ნაწილი), თბილისი, 1999 წ. 236 გვ. **631.3(02)14.**
4. გ. გეგელიძე, ე. შაფაქიძე, ო. თედორაძე, სასოფლო სამეურნეო მანქანები, თბილისი, 2001 წ. გვ. 110. **631.3(02)7**
5. გ. შხვაცაბაია, გ. ბეჟანიშვილი - „სასოფლო სამეურნეო მანქანები“, თბილისი 1982 წ. **631.3(02)/7**